



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
კოლეჯი „მოდუსი“**



**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** № 265

რუსთავი

03.10.2019

**კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის „მოდუსი“ წესდების მე-5 მუხლის "თ" პუნქტის, შესაბამისად  
**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ**

1. შპს მადაგონი 2-თვის უნიფორმების დიზაინის შემუშავების მიზნით სამკერვალო ნაწარმის პროფესიული პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისათვის გამოცხადდეს კონკურსი;
2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა დანართი #1 შესაბამისად;
3. კონკურსანტებს ნამუშევრების წარმოსადგენად განესაზღვროთ ვადა 2019 წლის 4 ოქტომბრამდე;
4. დამტკიცდეს კონსულტანტის უნიფორმის დიზაინის საკონკურსო კრიტერიუმები დანართი #2 შესაბამისად;
5. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა და შეფასება მოხდეს დანართი #3 განსაზღვრული წესის შესაბამისად;
6. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;
7. დაევალოს IT სპეციალისტს დავით მარანელს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ინტერნეტ გვერდზე;
8. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს ბრძანება გამოსაქვეყნებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. #6)

კარლო კერვალიშვილი  
დირექტორი



1. კარლო კერვალიშვილი
2. ეკატერინე პატიეშვილი
3. ირაკლი ბედინეიშვილი
4. ანა ბედინეიშვილი

**კონსულტანტის უნიფორმის დიზაინის საკონკურსო კრიტერიუმები:**

- ❖ კონსულტანტის უნიფორმა უნდა იყოს ჟილეტის ტიპის უნივერსალური მოსასხამი.
- ❖ უნიფორმა უნდა იყოს უნივერსალური გოგოებისთვისაც და ბიჭებისთვისაც, მისი ჩაცმა შესაძლებელი უნდა იყოს წელიწადის ოთხივე სეზონზე.
- ❖ უნიფორმის დიზაინში სასურველია (და არა სავალდებულო) გამოყენებული იყოს კომპანიის ბრენდული ფერები: ყვითელი, მუქი ლურჯი და მუქი წითელი.
- ❖ მოსასხამს არ უნდა ჰქონდეს ჯიბე.
- ❖ მოსასხამი უნდა იყოს ბრენდირებული - კომპანიის ახალი ლოგოთი, შესაძლებელია როგორც პრინტ. ასევე ნაქარგი ვერსიების შემოთავაზება.
- ❖ მოხმარებისთვის უნდა იყოს მაქსიმალურად პრაქტიკული და კომფორტული.
- ❖ უნიფორმის ჩაცმა შესაძლებელი უნდა იყოს თეთრ მანქანაზე.
- ❖ დიზაინში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული ტანისამოსის შტრიხები.
- ❖ "კუნძულებზე" მომუშავე თანამშრომლების უნიფორმის დიზაინის საკონკურსო კრიტერიუმებია:
  - ❖ "კუნძულებზე" მომუშავე თანამშრომლების უნიფორმა არის წინსაფარი და შესაძლებელია, როგორც არსებული წინსაფრის დიზაინის გაუმჯობესება, ასევე წინსაფრის ალტერნატივის შეთავაზებაც.
  - ❖ უნიფორმის მათვარი შემადგენელი უნდა იყოს თავსაფარი. ვინაიდან თავზე წასაკრავი არაკომფორტული აღმოჩნდა თანამშრომლებისთვის, სასურველია, აქცენტი გაკეთდეს კეპზე.
  - ❖ უნიფორმა უნდა იყოს ბრენდირებული - კომპანიის ახალი ლოგოთი, შესაძლებელია როგორც პრინტ. ასევე ნაქარგი ვერსიების შეთავაზება.
  - ❖ უნიფორმის დიზაინში სასურველია (და არა სავალდებულო) გამოყენებული იყოს კომპანიის ბრენდული ფერები ან/და შერჩეული ფერები უნდა შეეხამებოდეს ინტერიერის დიზაინს.
  - ❖ უნიფორმა უნდა იყოს უნივერსალური გოგოებისთვისაც და ბიჭებისთვისაც, მისი ჩაცმა შესაძლებელი უნდა იყოს წელიწადის ოთხივე სეზონზე.

- ❖ დიზაინში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული ტანისამოსის შტრიხები.
- ❖ მიმტანის უნიფორმის დიზაინის საკონკურსო კრიტერიუმებია:
  - ❖ მიმტანის უნიფორმა არის შავი ფერის წინსაფარი და შესაძლებელია, როგორც არსებული წინსაფრის დიზაინის გაუმჯობესება, ასევე წინსაფრის ალტერნატივის შეთავაზებაც.
  - ❖ უნიფორმის ჩაცმა შესაძლებელი უნდა იყოს თეთრ პერანგზე.
  - ❖ უნიფორმა უნდა იყოს უნივერსალური გოგობისთვისაც და ბიჭებისთვისაც, მისი ჩაცმა შესაძლებელი უნდა იყოს წელიწადის ოთხივე სეზონზე.
  - ❖ უნდა ჰქონდეს ჯიბე ან ჯიბეები.
  - ❖ უნიფორმის დიზაინში სასურველია (და არა სავალდებულო) გამოყენებული იყოს კომპანიის ბრენდული ფერები ან/და შერჩეული ფერები უნდა შეეხამებოდეს ინტერიერის დიზაინს.
- ❖ დიზაინში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული ტანისამოსის შტრიხები.
- ❖ ნამუშევრები შესრულებული უნდა იყოს A3 ფორმატის ქაღალდზე ფერებში, გუაშით ან ფანქრით.
- ❖ ესკიზი უნდა იყოს 2 ფიგურიანი, სადაც წარმოდგენილი იქნება უნიფორმის დიზაინის წინა და უკანა ხედი.
- ❖ ნამუშევარში უნდა იგრძნობოდეს ხასიათი, ფერი, ფორმა და გაწერილი კრიტერიუმები.

**ნამუშევრების წარდგენის ფორმა და შეფასების წესი:**

- ❖ ესკიზები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორ ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფის, რამდენიმე ადამიანის მიერ.
- ❖ კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ კოლექტი "მოდუსის" სამკერვალო წარმოების სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს.
- ❖ საუკეთესო ესკიზის გამოვლენა მოხდება კომისიის მიერ;
- ❖ გამარჯვებული ესკიზის ავტორს/ავტორებს შპს "მადაგონი 2"-ის მიერ გადაეცემა 500 ლარიანი ვაუჩერი;
- ❖ იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდება საუკეთესო ესკიზების გამოვლენა, შერჩეულ რამდენიმე საუკეთესო ნიმუშის ავტორებს მიეცემათ გონივრული ვადა ნამუშევრების სრულყოფის და ესკიზების ხელმეორედ წარმოდგენისთვის, რათა მოხდეს საუკეთესოს გამოვლენა.